საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030633043860920

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3837 **14 / სექტემბერი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილეს,
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებთან და ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ახორციელებს კვლევას „ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის კოინფექციის ეპიდემიოლოგია საქართველოში“.

კვლევის ფარგლებში შეისწავლება C ჰეპატიტის მოვლის კასკადი ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის კოინფექციის მქონე პაციენტებში, ასევე შეფასდება, ზრდის თუ არა C ჰეპატიტი ტუბერკულოზის პროგრესირებისა და რეციდივის რისკს და როგორია სიკვდილობა კოინფიცირებულ პაციენტებში. კვლევა განიხილა და დაამტკიცა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის სამეცნიერო კომიტეტმა. კვლევის ეთიკური მხარე განიხილა და ნებართვა გასცა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა და ემორის უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოებმა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის შესწავლაც აუცილებელია აღნიშნული კვლევისთვის, არის პაციენტთა სოციო-ეკონომიკური სტატუსი, რომლის განსასაზღვრად გვესაჭიროება სოციალური მომსახურების სააგენტოს დახმარება. საჭიროა საკვლევ პოპულაციაში შემავალი პაციენტები (ზემოთ ნახსენები ბაზებიდან) პირადი ნომრებით შედარდეს შესაბამის ბაზებს სოციალური მომსახურების სააგენტოში, რათა მოპოვებულ იქნას ინფორმაცია ამ პაციენტების სოციო-ეკონომიკური სტატუსის შესახებ (ეს შეიძლება იყოს სარეიტინგო ქულა ან მხოლოდ ის ინფორმაცია, იღებს თუ არა პირი სოციალურად დაუცველთათვის გამოყოფილ დახმარებას). გადამოწმების შემდეგ ინფორმაცია მოგვეწოდება დეპერსონალიზებული სახით, პაციენტის მიკვლევადობის ყველანაირი კომპონენტის ამოშლით, მხოლოდ უნიკალური პაციენტის პირობითი იდენტიფიკატორით.

გთხოვთ თქვენს შუამდგომლობას აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირმა ხონელიძე